პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№ 158 (4152)

1970 წ. 13 აგვისტო, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## მისაღებ გამოცდებზე

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში და მასთან არსებულ მწვრთნელთა სკოლაში წარმატებით მიმდინარეობს მისაღები გამოცდები. უკვე ჩატარდა გამოცდები სპეციალურ საგნებსა და სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

• • •

სურათებზე: მისაღები გამოცდა მწვრთნელთა სკოლის აბიტურიენტებისთვის ტანვარჯიშში; უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა გამოცდა მძლეოსნობაში.

ა. კოტორაშვილის ფოტო.





## ქარხნის სტუმრები

კარგი ტრადიცია დამკვიდრდა: რესპუბლიკის მოწინავე ფიზკულტურელები და სპორტსმენები, კვალიფიციური ფიზკულტურული მუშაკები ფიზკულტურელის საკავშირო დღეს სტუმრად მოდიან გ. დიმიტროვის სახელობის თბილისის საავიაციო ქარხანაში.

რესპუბლიკის ამ სახელოვანი საწარმოს მუშა-მოსამსახურეებმა სამუშაოს დამთავრების შემდეგ კვლავ მოიყარეს თავი თავიანთ საამქროებში, სადაც მათთვის სტუმრებმა საინტერესო ლექციები წაიკითხეს.

დიდი მოწონება ხვდა სპორტის დამსახურებული ოსტატების ბ. პაიჭაძის, ვ. ბალავაძის, ვ. კუხიანიძის, შ. გორგასლიძისა და ვ. სვეტილკოს, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ნ. ჩხატარაშვილის, საკავშირო კატეგორიის მსაჯის გ. ბაქანიძის, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელების კ. ზაუტაშვილისა და დ. კაპცოვის, მეცნიერებათა კანდიდატების ზ. თავართქილაძის, ვ. ელაშვილის, ი. ციბაძის, ბ. თევზაძისა და სხვათა გამოსვლებს.

ამ სასარგებლო თაოსნობის ორგანიზატორები არიან რესპუბლიკის ფიზკულტურის კომიტეტი და საზოგადოება „ცოდნის" თბილისის საქალაქო საბჭო.

ვ. ჯანელიძე.

## ტანმოვარჯიშეები და მკაცრი მსაჯები

მოსკოვი, 11 აგვისტო. ლუჟნიკის სპორტის სასახლეში დღეს დაიწყო უძლიერესი საბჭოთა ტანმოვარჯიშეების ბრძოლა სსრ კავშირის თასებისთვისა და ცალკეულ იარაღებზე ჩემპიონთა ოქროს მედლებისთვის.

სავალდებულო პროგრამის შემდეგ ვაჟთა შორის ლიდერობა ხელთ იგდო მსოფლიოსა და სსრ კავშირის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, მოსკოველმა მ. ვორონინმა. მას ქულათა მაღალი ჯამი აქვს — 57,25.

პირველ ექვსეულში შევიდნენ, აგრეთვე: მოსკოველი ს. დიომიდოვი — 56,9 ქულა, მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ვ. ლისიცკი — 56,25, მოსკოველი ვ. კარასიოვი — 55,75, თბილისელი მ. ბოგუსი — 55,5 და მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ვ. ფოგელი — 55,3.

ბრძოლა უაღრესად მწვავე და საინტერესოა. მსაჯები ძალიან მკაცრად აფასებენ ყოველი სპორტსმენის გამოსვლას და ეს გასაგებიცაა: ლიუბლიანის მსოფლიო ჩემპიონატის წინ საჭიროა ტანმოვარჯიშეებს, განსაკუთრებით კი იუგოსლავიაში გამგზავრების კანდიდატებს, გარკვევით მიუთითო მათს ხარვეზებზე (აქვე უნდა ითქვას, რომ ზუსტად ასევე მოიქცნენ იაპონელები თავიანთ ამასწინანდელ შესარჩევ შეჯიბრებაში).

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ შემდეგი მაგალითების მოყვანაც საკმარისია: სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატმა გ. ბოგდანოვმა, რომელიც მეხუთე იყო საკავშირო პირველობაზე მრავალჭიდში, თავის საყვარელ „იარაღზე" — თავისუფალ ვარჯიშში სულ 9,2 ქულა მიიღო. თვით ვორონინმა ამ სახეობაში მხოლოდ 9,4 ქულა დაიმსახურა. ასეთი მკაცრი პირობების მიუხედავად, ვორონინმა „სკოლის" ბრწყინვალე ცოდნა გამოავლინა, განსაკუთრებით, ტაიჭზე, ორძელსა და რგოლებზე ვარჯიშის დროს. რგოლებზე, მაგალითად, მას საღამოს უმაღლესი შეფასება (9,75 ქულა) აქვს.

სამწუხაროდ, ბოლო მომენტში ავადმყოფობის გამო ფიცარნაგზე ვერ გამოვიდა წინა საკავშირო ჩემპიონატში ვორონინის მთავარი მეტოქე ვ. კლიმენკო, რამაც პირველობისთვის ბრძოლას ერთგვარად დაუკარგა სიმწვავე. სამაგიეროდ, წინა საკავშირო ჩემპიონატში წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ საბრძოლო ფორმაშია კარასიოვი.

სავალდებულო პროგრამის შემდეგ ქალთა შორის 38,1 ქულით დაწინაურდა ვიტებსკელი ტანმოვარჯიშე, 16 წლის თ. ლაზაკოვიჩი. II ადგილზეა სსრ კავშირის თასის მფლობელი, გროზნოელი ლ. ტურიშჩევა—38,05, III — ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონი, ვორონეჟელი ლ. ბურდა — 37,95, IV — ზ. ვორონინა (მოსკოვის ოლქი) — 37,85, V — ლ. პეტრიკი — 37,75, VI — ო. კარასიოვა (ორივე — მოსკოვი) — 37,5.

## სხარტი ამბები

● კიევი, 11 აგვისტო. სპორტის ტექნიკურ სახეობებში V საკავშირო სპარტაკიადისა და ქვეყნის ჩემპიონატის პროგრამით ავიამოდელისტთა აქ გამართულ შეჯიბრებაში მთავარი პრიზი დარჩათ მასპინძლებს, რომლებმაც ოქროსა და ვერცხლის 3-3 მედალი მოიპოვეს. II ადგილზეა მოსკოვის, III — რსფსრ-ს ნაკრები. საქართველოს ავიამოდელისტები საპრიზო ექვსეულის მიღმა დარჩნენ.

● ხარკოვი, 11 აგვისტო. მძლეოსნობაში სსრ კავშირის თასის — „იზვესტიის" პრიზის გათამაშების აქ გამართულ ნახევარფინალში მოსკოვის (მეორე), კიევის, ხარკოვის, კრასნოდარის, ტარტუს, დნეპროპეტროვსკის, კიშინიოვისა და გომელის ვაჟთა, მოსკოვის, კრასნოდარის, ხარკოვის, დნეპროპეტროვსკის, კიშინიოვის, ვილნიუსისა და გროდნოს ქალთა გუნდები მონაწილეობდნენ. პირველი დღის შედეგებიდან აღსანიშნავია 100 მეტრზე რბენაში მოსკოველი გ. ბუხარინას მაჩვენებელი — 11,4. ეს სსრ კავშირში წლევანდელი სეზონის საუკეთესო შედეგის გამეორებაა. 200 მეტრზე რბენა მოიგო ლ. ჟარკოვამ (მოსკოვი) — 24,4. 1500 მეტრზე ასპარეზობაში პირველი იყო ლ. ბრაგინა (კრასნოდარი)—4.21,4, ბადროს ტყორცნაში—ლ. მურავიოვა (მოსკოვი)—58,50. მისმა თანაქალაქელმა ნ. სოლონცევამ ბირთვი 17,60 მეტრზე ჰკრა. ფინალში გავიდნენ მოსკოვისა და ხარკოვის ქალთა გუნდები. ვაჟებში ტარტუელმა კ. იურკატამმა 200 მეტრზე თარჯრბენში 23,1 წამი აჩვენა.

● ვილიანდი, 11 აგვისტო. საგზატკეცილო წრიულ მოტორბოლაში სსრ კავშირის ჩემპიონატისა და სპორტის ტექნიკურ სახეობებში V საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრების მესამე ეტაპი აქ გაიმართა. დარჩენილი IV ეტაპის (ტალინი) შედეგების მიუხედავად „125-ანებით" რბოლაში ჩემპიონი გახდა კ. ოშინში (რიგა).

● პეტროზავოდსკი, 11 აგვისტო. სსრ კავშირის თასისთვის მებრძოლ მძლეოსანთა ტურნირში ქალთა შორის ფინალის საგზურები მოიგეს მოსკოვის ოლქის ათლეტებმა: მათ 112 შესაძლებლიდან 110 ქულა მოაგროვეს. II ადგილზე არიან ლენინგრადელები. ნ. ჟდანმა (მოსკოვის ოლქი) 175 სმ სიმაღლე დაძლია, ნ. ტატარინცევამ (ლენინგრადი) ბადრო 53,78 მეტრზე ტყორცნა, კაუნასელმა ი. პუტინენმა კი შუბი — 54,28 მეტრზე. 800 მეტრზე რბენა მოიგო გოგონებში ქვეყნის რეკორდსმენმა ლ. საფრონოვამ (პეტროზავოდსკი) — 2.08,7. ვაჟთა ტურნირშიც მოსკოვის ოლქის მძლეოსნებმა გაიმარჯვეს. ე. გუშჩინს (მოსკოვის ოლქი) ბირთვის კვრაში 8 სმ-ით აჯობა კაუნასელმა რ. პლუნგემ — 18,74. ს. ბუდალოვმა (მოსკოვის ოლქი) 210 სმ სიმაღლე გადალახა.

## დღეს ნომერში

- თბილისის „ბურევესტნიკი" — „სტრაუმე" 22:18
- მ. გამუდი მოსკოველთა სტუმარია
- დინამოელი რეგბისტები — ქუთაისში

## 20⁴⁵

◆ ტალინი, 12 აგვისტო. ესტონეთის დედაქალაქში დაიწყო კალათბურთელ ქალთა გუნდების საერთაშორისო შეჯიბრება. ძალიან დაძაბული ბრძოლით აღინიშნა სსრ კავშირის პირველი და მეორე ნაკრები კოლექტივების შეხვედრა. გაიმარჯვა პირველმა ნაკრებმა — 88:84 (46:42). ესტონეთის გუნდმა დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის ნაკრები — 67:47 (39:21).

◆ ათენი, 12 აგვისტო. ევროპის ჭაბუკ კალათბურთელთა აქ მიმდინარე ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდნენ სსრ კავშირის, საბერძნეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდები. შესარჩევი მატჩების ბოლო დღეს საბჭოთა კალათბურთელებმა სძლიეს თურქებს — 80:47 (38:22).

◆ ვარშავა, 12 აგვისტო. ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელ ვაჟთა ოლიმპიურმა ნაკრებმა აქ ანგარიშით 70:63 (37:32) დაამარცხა პოლონეთის ეროვნული გუნდი. ამერიკელთა კოლექტივში ყველაზე შედეგიანად ითამაშეს ბაპტისტემ და ირვინგმა (12-12 ქულა). სტუმრები კიდევ ორ მატჩს გამართავენ, რის შემდეგ სსრ კავშირში გაემგზავრებიან.

ხოლო გაზეთი

გზად იყო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია 1969-1972 წლებისთვის

რესპუბლიკის ფიზკულტურის რაიონული კომიტეტებისა და სპორტსაზოგადოებების თხოვნით ვაგრძელებთ 1969-1972 წლების საკავშირო სპორტული კვალიფიკაციის ბეჭდვას.

## აკადემიური ნიჩბოსნობა

### სათანრიგო მოთხოვნები

### ვაჟები და ქალები

#### ნიჩბოსნები

სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი — დაიკავოს I-VI ადგილი ოლიმპიურ თამაშებში ან მსოფლიო პირველობაში;

ან

I-III ადგილი ევროპის პირველობაში;

ან

I ადგილი საერთაშორისო რეგატებში, სადაც გამოდიან ამ სახეობაში მოწინავე, სულ ცოტა, ოთხი ქვეყნის სპორტსმენები და ნავების მოცემულ კლასში მოიპოვოს გამარჯვება ორ გუნდთან მაინც.

სპორტის ოსტატი — დაიკავოს I-III ადგილი სსრ კავშირის პირველობაში;

ან

სსრ კავშირის პირველობის ფინალში დაიკავოს მესამის მომდევნო ადგილები გამარჯვებულთან ასეთი ჩამორჩენით;

(იხ. ცხრილი № 1)

ან

ორი წლის მანძილზე ორჯერ დაიკავოს I ადგილი სსრ კავშირის იუნიორთა პირველობაში;

ან

მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის უძლიერეს ნიჩბოსანთა პირველობებსა და რბოლებში, უწყებათა და ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური საბჭოების პირველობებში, სარესპუბლიკათშორისო შეჯიბრებებში ან საკავშირო მნიშვნელობის რეგატებში, რომლებიც შეჯიბრებათა საკავშირო კალენდარულ გეგმაში შედიან, თუ გამარჯვებას მოიპოვებს სპორტის ოსტატთა და სპორტის ოსტატობის კანდიდატთა ორ-ორ გუნდთან ან სპორტის ოსტატთა ორ და I თანრიგის ოთხ კოლექტივთან.

შენიშვნა. რბოლაში მონაწილე, სულ ცოტა, 3 გუნდი უნდა ეკუთვნოდეს სხვადასხვა ქალაქს ან ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებას, შეჯიბრების ხასიათის შესაბამისად.

სპორტის ოსტატობის კანდიდატი — დაიკავოს IV-VI ადგილი სსრ კავშირის პირველობაში;

ან

I ადგილი სსრ კავშირის ახალგაზრდულ პირველობაში;

ან

II ადგილი სპორტის ოსტატთა ბოლო სათანრიგო მოთხოვნებში ნაჩვენები შეჯიბრებების ფინალში;

ან

I ადგილი იმავე შეჯიბრებების ფინალში, ოღონდ თუ გამარჯვებას მოიპოვებს სპორტის ოსტატობის კანდიდატთა ორ ან I თანრიგის ოთხ გუნდთან.

I თანრიგი — დაიკავოს I-III ადგილი მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის პირველობათა, უწყებებისა და ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა შეჯიბრებების ფინალში, თუ ნავების თითო კლასში გამარჯვებას მოიპოვებს I თანრიგის ორ გუნდთან;

ან

სეზონის განმავლობაში ერთხელ დაიკავოს I ან ორჯერ II ადგილი არანაკლებ ქალაქის მასშტაბის შეჯიბრებებში და გაიმარჯვოს I თანრიგის ორ ან II თანრიგის ოთხ გუნდთან ნავების თითო კლასში.

II თანრიგი — სეზონის მანძილზე ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებებში ერთხელ დაიკავოს I ან ორჯერ II ადგილი, თუ მოუგებს II თანრიგის ორ ან III თანრიგის ოთხ გუნდს ნავების თითო კლასში.

III თანრიგი — დაიკავოს I ადგილი ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებებში და გაიმარჯვოს III თანრიგის ორ ან ახალბედების სამ გუნდთან სასწავლო ნავების თითო კლასში.

მოზარდთა I თანრიგი — სეზონის მანძილზე უფროსი ასაკობრივი ჯგუფის ჭაბუკებისა და გოგონების ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებებში ერთხელ დაიკავოს I ან ორჯერ II ადგილი, თუ გამარჯვებას მოიპოვებს მოზარდთა I თანრიგის ორ და მოზარდთა II თანრიგის სამ გუნდთან ნავების თითო კლასში.

მოზარდთა II თანრიგი — დაიკავოს I ადგილი საშუალო ასაკობრივი ჯგუფის ჭაბუკთა და გოგონათა ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებებში, თუ ასპარეზობაში სასწავლო ნავების თითო კლასში მონაწილეობს ახალბედების, სულ ცოტა, 8 გუნდი.

#### მესაჭეები

სპორტის ოსტატი და სპორტის ოსტატობის კანდიდატი — ოთხი წლის მანძილზე შეასრულოს შესაბამისი წოდებისა და თანრიგის ნიჩბოსნებისთვის დადგენილი მოთხოვნები და, ამასთან, მონაწილეობა მიიღოს საკავშირო მასშტაბის ოთხ შეჯიბრებაში მაინც.

I თანრიგი — სამი წლის მანძილზე გამოდიოდეს მესაჭედ და მონაწილეობა მიიღოს, სულ ცოტა, 15 შეჯიბრებაში, მათ შორის, 3 საკავშირო მასშტაბის ასპარეზობაში.

II თანრიგი — მესაჭედ გამოდიოდეს ორი წლის მანძილზე და მონაწილეობა მიიღოს, სულ ცოტა, 10 შეჯიბრებაში, მათ შორის, რესპუბლიკური მასშტაბის სამ ასპარეზობაში.

III თანრიგი — მესაჭედ გამოდიოდეს ერთი წლის მანძილზე და მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერი მასშტაბის, სულ ცოტა, 5 შეჯიბრებაში.

### სათანრიგო ნორმები ნიჩბოსნები და მესაჭეები

(იხ. ცხრილი № 2)

### შეჯიბრებები გამდინარე წყალსაცავებზე

თუ შეჯიბრება გამდინარე წყალსაცავზე ტარდება, თანრიგების მინიჭება ხდება წყლის მდინარეების სიჩქარის გათვალისწინებით, სათანრიგო მოთხოვნების გადაანგარიშების ცხრილის შესაბამისად. ამასთან, მდინარების საწყისი სიჩქარე მრგვალდება 0,1 მ/წამამდე.

ცხრილში შუალედური მნიშვნელობის განსაზღვრის დროს იღებენ მოსაზღვრე სიდიდეთა საშუალო არითმეტიკულს. ამასთან, წამების უმცირესი — 0,5-ის ტოლი ნაწილი არ ჩაითვლება, უფრო დიდი კი მთლიან ერთეულად მიიღება.

### სათანრიგო ნორმების გადაანგარიშება

(იხ. ცხრილი № 3)

შენიშვნები:

1. გაუმდინარ და გამდინარე წყალსაცავებზე სათანრიგო ნორმები ჩაითვლება არა უმეტეს 0,5 მ/წამი ზურგის ქარის დროს.

ზურგის ქარად უნდა მივიღოთ ქარი, რომელსაც დისტანციის ლერძიდან ფინიშისკენ აქვს მიმართულება. თუ სხვა მიმართულება აქვს, ზურგის ქარის სიჩქარედ გულისხმობენ სიჩქარის შემადგენელ გეომეტრიულს, რომელიც ზურგქარის მიმართულებას მიეკუთვნება.

2. სათანრიგო ნორმები შესრულებულად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შეჯიბრების მსაჯთა კოლეგიის აქტი, რომელიც ამტკიცებს დისტანციის შესაბამისობას მის გეოდეზიურ გეგმასთან, მიმართულების ფიქსირებას, ქარის სიჩქარეს და მდინარების საშუალო სიჩქარეს (დისტანციის სიგანე) მოცემული რბოლის ჩატარების დროს.

3. სათანრიგო ნორმები შესრულებულად ითვლება შემდეგი მასშტაბის შეჯიბრებებში:

I თანრიგი — არანაკლებ ქალაქის მასშტაბის შეჯიბრებები;

II, III, მოზარდთა I და II თანრიგები — ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებები.

### თანრიგის დადასტურება

თანრიგის დადასტურებისთვის — შეასრულოს იგივე სათანრიგო ნორმები და მოთხოვნები, ნავების ერთ-ერთ კლასში.

### სათანრიგო ნორმებისა და მოთხოვნების შესრულების პირობები

1. გამდინარე წყალსაცავებში დისტანცია მდინარების მიხედვით უნდა გადიოდეს.

2. საკლასიფიკაციო დისტანციები ყველა თანრიგისთვის: ვაჟები — 2000 მ, ქალები — 1000 მ, 17-18 წლის ჭაბუკები და გოგონები — შესაბამისად 1500 და 800 მ, 15-16 წლის ჭაბუკები და გოგონები — შესაბამისად 1000 და 500 მ.

3. სპორტული თანრიგები ენიჭებათ მხოლოდ იმ სპორტსმენებს, რომელთაც ცურვა შეუძლიათ.

4. სპორტის ოსტატის წოდებისა და სპორტის ოსტატობის კანდიდატის თანრიგის მოპოვებისთვის ნიჩბოსანმა და მესაჭემ სათანრიგო ნორმებისა და მოთხოვნების შესრულების გარდა, უნდა იცოდნენ გემსავალ წყალსაცავებში სპორტული ნავების ცურვისა და წყალში მეცადინეობის უსაფრთხოების წესები.

5. გუნდის თანრიგს ადგენენ ნიჩბოსანთა 50 პროცენტის უმაღლესი თანრიგის მიხედვით. მაგალითად, თუ ოთხადგილიანის შემადგენლობაში ორი I თანრიგის ნიჩბოსანია, მთელ მოცემულ შეჯიბრებაში გუნდს მიეცემა I თანრიგის კოლექტივის კლასიფიკაცია.

6. შესრულებული სათანრიგო მოთხოვნები ნავების რომელიმე კლასში გამარჯვებად ჩაითვლება მხოლოდ იმ სპორტსმენებით დაკომპლექტებულ გუნდებთან, რომელთაც შეჯიბრების დაწყებისთვის შესაბამისი წოდებები და თანრიგები ექნებათ. ეს წოდებები და თანრიგები მათ მინიჭებული უნდა ჰქონდეთ ან თვით სპორტსმენების მიერ დამტკიცებული უნდა იყოს მიმდინარე ან გასულ წელს ნავების მოცემულ კლასში.

7. მოზარდთა I თანრიგის მქონე ჭაბუკებსა და გოგონებს მოზრდილთა ჯგუფში გადასვლისას ავტომატურად ეძლევათ II თანრიგი. ამასთან, თუ სსრ კავშირის მოზარდთა პირველობაში გამარჯვება მოიპოვეს, ეძლევათ I თანრიგი, ხოლო თუ „ოლიმპიური იმედების" საერთაშორისო შეჯიბრება მოიგეს — სპორტის ოსტატობის კანდიდატის თანრიგი.

8. ყოველმა ნიჩბოსანმა, რომელიც ერთ-ერთ შეჯიბრებაში სპორტის ოსტატის სათანრიგო მოთხოვნებს შეასრულებს, ამ წოდების მოპოვებისთვის მიმდინარე სეზონის ყველა დანარჩენ შეჯიბრებაში უნდა აჩვენოს სტაბილური შედეგები — არანაკლებ სპორტის ოსტატობის კანდიდატის სათანრიგო ნორმებისა და მოთხოვნებისა.

9. სპორტის ოსტატის წოდების მინიჭება ხდება მხოლოდ დამტკიცებულ კალენდარულ შეჯიბრებებში ნაჩვენები შედეგებისთვის, რომლებიც მოცემული წლის 15 მაისიდან 15 სექტემბრამდე ტარდება.

შენიშვნა: ეს შეზღუდვა საკავშირო კალენდარულ გეგმაში შეტანილ შეჯიბრებებზე არ ვრცელდება.

10. თანრიგის მიღებისთვის მესაჭეს, გარდა სათანრიგო ნორმებისა და მოთხოვნების შესრულებისა, უნდა შეეძლოს ნიჩბების მოსმა, ჰქონდეს მესაჭის წინა თანრიგი და იცოდეს ნაოსნობის წესები.

ცხრილი № 1

| დისტანცია | ერთადგილიანი, ორადგილიანი — მესაჭით და უმესაჭოდ | წყვილმოსასმელიანი ორადგილიანი, გასაშლელი ოთხადგილიანები მესაჭით და უმესაჭოდ | რვაადგილიანი და წყვილმოსასმელიანი ოთხადგილიანი |
|---|---|---|---|
| **წამებში** | | | |
| 2000 მ ვაჟები | 5 | 4 | 3 |
| 1000 მ ქალები | 3 | 2,5 | 2 |

ცხრილი № 2

| ნავების კლასი | თანრიგები: I | II | III სასწავლო ნავები | ჭაბუკთა I (სარბოლო ნავები) |
|---|---|---|---|---|
| **წუთებსა და წამებში** | | | | |
| **ვაჟები** | დისტანცია 2000 მ | | დისტანცია 1500 მ | |
| ერთადგილიანი | 7.25 | 7.45 | 8.40 | 6.00 |
| წყვილმოსასმელიანი ორადგილიანი | 6.55 | 8.15 | 8.05 | 5.40 |
| უმესაჭო ორადგილიანი | 7.20 | 7.40 | — | 5.42 |
| ორადგილიანი მესაჭით | 7.50 | 8.05 | 9.00 | 6.10 |
| უმესაჭო ოთხადგილიანი | 6.45 | 7.00 | — | 5.32 |
| ოთხადგილიანი მესაჭით | 6.50 | 7.10 | 7.40 | 5.40 |
| ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანი | — | — | — | 5.10 |
| რვაადგილიანი | 6.10 | 6.20 | 7.15 | 4.50 |
| **ქალები** | დისტანცია 1000 მ | | დისტანცია 800 მ | |
| ერთადგილიანი | 3.58 | 4.05 | 5.00 | 3.18 |
| ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი | 3.48 | 3.55 | 4.45 | 3.08 |
| ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანი | 3.35 | 3.45 | 4.20 | 2.58 |
| გასაშლელი ოთხადგილიანი | 3.45 | 3.55 | 4.50 | 3.00 |
| რვაადგილიანი | 3.25 | 3.30 | 4.00 | 2.48 |

ცხრილი № 3

| სათანრიგო ნორმა [illegible] | წყლის მდინარების სისწრაფე (წუთებსა და წამებში): 0,2 | 0,4 | 0,6 | 0,8 | 1,0 | 1,2 | 1,4 | 1,6 | 1,8 | 2,0 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **წუთებსა და წამებში** | | | | | | | | | | |
| **დისტანცია 2000 მ** | | | | | | | | | | |
| 5.40 | 5.29 | 5.18 | 5.08 | 4.59 | 4.50 | 4.42 | 4.34 | 4.27 | 4.20 | 4.14 |
| 5.50 | 5.38 | 5.27 | 5.17 | 5.07 | 4.58 | 4.49 | 4.41 | 4.33 | 4.26 | — |
| 6.00 | 5.48 | 5.36 | 5.25 | 5.15 | 5.05 | 4.56 | 4.48 | 4.39 | 4.32 | — |
| 6.10 | 5.57 | 5.44 | 5.33 | 5.22 | 5.12 | 5.02 | 4.54 | 4.45 | 4.37 | — |
| 6.20 | 6.06 | 5.53 | 5.41 | 5.29 | 5.19 | 5.09 | 5.00 | 4.51 | 4.42 | — |
| 6.30 | 6.16 | 6.02 | 5.49 | 5.37 | 5.26 | 5.16 | 5.06 | 4.57 | — | — |
| 6.40 | 6.25 | 6.11 | 5.58 | 5.46 | 5.34 | 5.23 | 5.13 | 5.03 | — | — |
| 6.50 | 6.34 | 6.19 | 6.06 | 5.53 | 5.41 | 5.29 | 5.18 | 5.08 | — | — |
| 7.00 | 6.43 | 6.27 | 6.13 | 6.00 | 5.47 | 5.35 | 5.24 | 5.14 | — | — |
| 7.10 | 6.52 | 6.36 | 6.21 | 6.07 | 5.54 | 5.42 | 5.31 | — | — | — |
| 7.20 | 7.01 | 6.45 | 6.29 | 6.14 | 6.01 | 5.49 | 5.57 | — | — | — |
| 7.30 | 7.11 | 6.53 | 6.37 | 6.22 | 6.08 | 5.55 | 5.43 | — | — | — |
| 7.40 | 7.20 | 7.01 | 6.44 | 6.28 | 6.14 | 6.00 | 5.48 | — | — | — |
| 7.50 | 7.29 | 7.09 | 6.51 | 6.35 | 6.20 | 6.06 | 5.5[illegible] | — | — | — |
| 8.00 | 7.38 | 7.18 | 6.59 | 6.42 | 6.26 | 6.12 | 5.59 | — | — | — |
| 8.10 | 7.47 | 7.26 | 7.07 | 6.50 | 6.34 | 6.19 | 6.05 | — | — | — |
| 8.20 | 7.56 | 7.34 | 7.14 | 6.57 | 6.41 | 6.25 | — | — | — | — |
| 8.30 | 8.05 | 7.43 | 7.22 | 7.04 | 6.47 | 6.31 | — | — | — | — |
| 8.40 | 8.14 | 7.51 | 7.29 | 7.10 | 6.55 | 6.36 | — | — | — | — |
| 8.50 | 8.23 | 7.59 | 7.37 | 7.17 | 6.59 | 6.42 | — | — | — | — |
| 9.00 | 8.33 | 8.08 | 7.45 | 7.24 | 7.06 | 6.48 | — | — | — | — |
| **დისტანცია 1500 მ** | | | | | | | | | | |
| 4.40 | 4.30 | 4.21 | 4.12 | 4.04 | 3.56 | 3.49 | 3.42 | 3.36 | 3.30 | — |
| 4.50 | 4.39 | 4.29 | 4.20 | 4.11 | 4.03 | 3.55 | 3.48 | 3.42 | — | — |
| 5.00 | 4.48 | 4.38 | 4.28 | 4.19 | 4.10 | 4.02 | 3.54 | 3.47 | — | — |
| 5.10 | 4.58 | 4.46 | 4.36 | 4.26 | 4.17 | 4.09 | 4.01 | 3.53 | — | — |
| 5.20 | 5.07 | 4.55 | 4.44 | 4.33 | 4.24 | 4.15 | 4.07 | 3.59 | — | — |
| 5.30 | 5.16 | 5.04 | 4.52 | 4.40 | 4.30 | 4.21 | 4.12 | — | — | — |
| 5.40 | 5.26 | 5.12 | 5.00 | 4.48 | 4.37 | 4.27 | 4.18 | — | — | — |
| 5.50 | 5.35 | 5.21 | 5.07 | 4.55 | 4.44 | 4.34 | 4.24 | — | — | — |
| 6.00 | 5.44 | 5.29 | 5.15 | 5.02 | 4.51 | 4.40 | 4.30 | — | — | — |
| 6.10 | 5.53 | 5.37 | 5.22 | 5.09 | 4.57 | 4.46 | — | — | — | — |
| **დისტანცია 1000 მ** | | | | | | | | | | |
| 3.00 | 2.54 | 2.48 | 2.43 | 2.38 | 2.33 | 2.28 | 2.24 | 2.20 | 2.16 | — |
| 3.10 | 3.03 | 2.56 | 2.51 | 2.45 | 2.40 | 2.35 | 2.30 | 2.25 | 2.21 | — |
| 3.20 | 3.12 | 3.05 | 2.59 | 2.53 | 2.47 | 2.41 | 2.36 | 2.31 | — | — |
| 3.30 | 3.21 | 3.14 | 3.07 | 3.00 | 2.53 | 2.47 | 2.42 | 2.37 | — | — |
| 3.40 | 3.30 | 3.22 | 3.14 | 3.07 | 3.00 | 2.54 | 2.48 | — | — | — |
| 3.50 | 3.40 | 3.30 | 3.22 | 3.14 | 3.07 | 3.00 | 2.54 | — | — | — |
| 4.00 | 3.49 | 3.39 | 3.29 | 3.21 | 3.13 | 3.06 | 3.00 | — | — | — |
| 4.10 | 3.58 | 3.47 | 3.37 | 3.28 | 3.20 | 3.12 | — | — | — | — |
| 4.20 | 4.07 | 3.55 | 3.44 | 3.35 | 3.26 | 3.18 | — | — | — | — |
| 4.30 | 4.16 | 4.04 | 3.52 | 3.42 | 3.33 | 3.24 | — | — | — | — |
| 4.40 | 4.25 | 4.12 | 4.00 | 3.49 | 3.39 | 3.30 | — | — | — | — |
| 4.50 | 4.34 | 4.20 | 4.07 | 3.56 | 3.45 | — | — | — | — | — |
| 5.0 | 4.44 | 4.28 | 4.14 | 4.02 | 3.51 | — | — | — | — | — |
| **დისტანცია 800 მ** | | | | | | | | | | |
| 2.50 | 2.43 | 2.37 | 2.31 | 2.26 | 2.21 | 2.16 | 2.11 | 2.07 | — | — |
| 3.00 | 2.52 | 2.45 | 2.38 | 2.33 | 2.27 | 2.22 | 2.17 | — | — | — |
| 3.10 | 3.01 | 2.53 | 2.46 | 2.40 | 2.34 | 2.28 | 2.23 | — | — | — |
| 3.20 | 3.11 | 3.02 | 2.54 | 2.47 | 2.40 | 2.34 | 2.28 | — | — | — |
| 3.30 | 3.20 | 3.10 | 3.01 | 2.53 | 2.46 | 2.40 | — | — | — | — |

# 1970 ფეხბურთი

## სსრ კავშირის პირველობა

## „ბ" ჯგუფი

II ზონის I ქვეჯგუფი

# ლიდერს ეს არ ეპატიება

გუშინწინ რუსთავში გამართულ მორიგ კალენდარულ მატჩში ადგილობრივმა „მეტალურგმა" მიიღო ბელაია კალიტვის „ორბიტა".

რუსთაველი ფეხბურთის მოყვარულები ამ დღეს გულდამშვიდებული მიდიოდნენ სტადიონზე. შეშფოთების მათ არაფერი ჰქონდათ, ვინაიდან „მეტალურგი" გათამაშების ერთპიროვნული ლიდერია, ხოლო „ორბიტა" — აუტსაიდერი. მასპინძლებს თავიანთ მეტოქეზე ზუსტად ორჯერ მეტი ქულა ჰქონდათ და ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ისინი კიდევ უფრო გაიმტკიცებდნენ სატურნირო მდგომარეობას.

მაგრამ მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. ლიდერმა უპასუხისმგებლოდ, უხალისოდ, უსუსურად ითამაშა. ტრიბუნიდან ნათლად ჩანდა, რომ რუსთაველ ფეხბურთელებს სრულიადაც არ აინტერესებდათ, თუ როგორ დამთავრდებოდა შეხვედრა. ისინი მოუნდნენ უხეშობას, მსაჯთან კამათს და ერთმანეთთან კინკლაობას, რის შედეგადაც შეჯიბრების ამ პასუხსაგებ ეტაპზე შინ, საკუთარ მინდორზე, ბოლო ადგილზე მყოფ გუნდთან დაკარგეს ესოდენ საჭირო 2 ქულა.

ჯერ მხოლოდ მე-3 წუთი იყო, როცა „მეტალურგის" დაცვაში დაშვებული შეცდომა კარგად გამოიყენა ტოზუბინმა და ანგარიში გახსნა.

დრო საკმარისზე მეტი იყო დარჩენილი — 87 წუთი. მაგრამ, როგორც ვთქვით, ეს 87 წუთი მეტალურგელებმა თამაშის ნაცვლად უქნარობას მოანდომეს და დამარცხებულებმა დატოვეს მინდორი.

იმედი უნდა ვიქონიოთ, გუნდის ხელმძღვანელობა, რომელმაც წლეულს ბევრი რამ გააკეთა „მეტალურგის" წარმატებისთვის, სათანადო ზომებს მიმართავს დამნაშავეთა წინააღმდეგ.

რ. ბაბრიკიძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
რუსთავი.

# საქართველოს პირველობა

შედგა მორიგი ტურის შეხვედრები.

● „იმერეთი" (თერჯოლა) — „ფეიქარი" (წულუკიძე) 1:2. მსაჯი გ. გუჯაბიძე (ფოთი).

მე 5 წუთზე სტუმრების კარში დაინიშნა 11-მეტრიანი, მაგრამ ხომიაკოვმა ბურთი მიზანს ააცილა. და მაინც, ანგარიში მასპინძლებმა (მახაგაძე) გახსნეს. შესვენების შემდეგ ფანჯულიძემ საპასუხო გოლი გაიტანა და, თითქოს, მეტოქეები თითო ქულას უნდა დასჯერებოდნენ, როცა კირთაძემ დაახლოებით 30 მეტრიდან ზუსტად დაარტყა კარში. ამ გოლმა გამარჯვება მოუტანა „ფეიქარს".

● „ქართლი" (გორის რაიონი) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 4:2. მსაჯი ვ. გავრილოვი (თბილისი).

მსაჯის შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან გააძევეს ჩოხატაურელი ო. ცინცაძე.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 3:0. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

სტუდენტებმა იმით დაიწყეს თამაში, რომ ცენტრალურმა მცველმა ვაწაძემ ზუსტი თავური დარტყმით აიღო სამტრედიელთა კარი. ლოკომოტიველებმა ვერ გაუწიეს ღირსეული წინააღმდეგობა მეტოქეს: 53-ე წუთზე იმავე ვაწაძემ მეორე ბურთი მოათავსა მათს კარში, შემდგომში კი სტუმრების კარში კიდევ ერთი ბურთი იქნა გატანილი. როგორც აღვნიშნეთ, ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის კაპიტანმა ვაწაძემ ამ მატჩში 2 ბურთი გაიტანა, მაგრამ მან უტაქტობა ჩაიდინა, უტიფრად შეედავა მსაჯს, რისთვისაც გაძევებულ იქნა მინდვრიდან.

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „მშენებელი" (ბორჯომი) 1:1. მსაჯი ნ. ამირაჯიბი (თბილისი).

ბორჯომელები პირველივე წუთებზე დაწინაურდნენ ფირცხალავას გოლის მეშვეობით, მაგრამ ეს იყო მათი პირველი და უკანასკნელი წარმატება. „მეტალურგმა" ხელთ აიღო უპირატესობა და მეტოქე ღრმა დაცვაში ჩააყენა. ლიდერმა დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია.

● „ვარკეთილი" (გარდაბანი) — „მზიური" (გალი) 0:1. მსაჯი თ. კალანდაძე (თბილისი).

ტაიმი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა და ერთ-ერთი იერიშისას სტუმრების თავდამსხმელმა ხვარიდოვმა ანგარიში გახსნა. მეორე ტაიმში გალელებს შეეძლოთ კიდევ უფრო განემტკიცებინათ თავიანთი წარმატება, მაგრამ ინჯგიამ ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი დარტყმა: პენალტი აიღო „ვარკეთილის" მეკარე მაზმიშვილმა.

● „სალხინო" (გეგეჭკორი) — „ისანი" (თბილისი) 2:1. მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).

მე-10 წუთზე, თბილისელთა ერთ-ერთი შეტევის დროს, „სალხინოს" მცველი გალდავა შეცდა და საკუთარ კარში გაგზავნა ბურთი. ეს გოლი 38-ე წუთზე გაქვითა ოდიშარიამ. მეორე ტაიმში მასპინძლებმა დიდი მონდომებით ითამაშეს და გადამწყვეტი გოლიც გაიტანეს (გეგეჭკორი).

● „ეგრისი" (ცხაკაია) — „ენგური" (ზუგდიდი) 2:0. მსაჯი ა. იზრაელაშვილი (ფოთი).

ზუგდიდელებმა პირველ ტაიმში შეძლეს მეტოქის ყველა იერიშის მოგერიება, მაგრამ 70-ე წუთზე ძაგანიას ზუსტმა დარტყმამ მაინც მიაღწია მიზანს. მატჩის ბოლო წუთებზე ჰაჩიბაიამ მეორედ აიღო „ენგურის" კარი.

● „სინათლე" (თბილისი) — „მალაროელი" (ჭიათურა) 6:2. მსაჯი უ. ძნელაძე (თბილისი).

მიმდინარეობდა თამაშის 55-ე წუთი და ანგარიში იყო 2:2. თითქოს, არაფერი მეტყველებდა იმაზე, რომ ჭიათურელები ასეთი განსხვავებით წააგებდნენ მატჩს, მაგრამ დარჩენილ დროში მათ ძალიან ცუდად ითამაშეს და ზედიზედ 4 ბურთი მიიღეს თავიანთ კარში.

## II ჯგუფი

I ზონა

„აბული" (ახალქალაქი) — „შირაქი" (წითელი წყარო) 1:1, „ვარძია" (ასპინძა) — „შირაქი" (წითელი წყარო) 2:0, „შევარდენი" (თბილისი) — „აბული" (ახალქალაქი) 2:2, „შირაქი" (წითელი წყარო) — „არაგვი" (დუშეთი) 7:2, „ჯერეთი" (ლაგოდეხი) — „გარისი" (თეთრი წყარო) 4:1, „სპარტაკი" (რუსთავი) — „მევენახე" (ბოლნისი) 4:3, „ბახტრიონი" (ახმეტა) — „ვარძია" (ასპინძა) 1:2. წალკის „მშენებელს" მოგება ჩაეთვალა მცხეთის „არაგვთან", ხოლო ვაზისუბნის „მევენახეს" — ყვარლის „დურუჯთან".

II ზონა

„კოლხეთი" (ხობი) — „დინამო" (ქუთაისი) 3:0, „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) — „სამგურალი" (წყალტუბო) 1:1, „ჩიხურა" (საჩხერე) — „განახლება" (ადიგენი) 1:1, „ოდიში" (ზუგდიდი) — „ჭოროხი" (ბათუმი) 2:0. სამტრედიის „მექანიკოსს" მოგება მიეკუთვნა ქედის „კოლმეურნესთან" შეხვედრაში.

## ზონალური პირველობა

I ზონა

„შახტმშენი" (მარნეული) — „ფარვანა" (ბოგდანოვკა) 2:1, „მადნეული" (ყაზრეთი, ბოლნისი) — „ოლიმპი" (აგრანლო, წალკა) 2:0, „რაიკავშირი" (დმანისი) — „კლდეკარი" (მანგლისი) 0:2, „ფარვანა" (ბოგდანოვკა) — „მადნეული" (ყაზრეთი) 4:1, „იმედი" (აწყური) — „შახტმშენი" (მარნეული) 4:0. აგრანლოს „ოლიმპს" გამარჯვება ჩაეთვალა დმანისის „რაიკავშირთან" შეხვედრაში.

II ზონა

„ნაფარეული" (თელავი) — „განთიადი" (კასპი) 0:0, „ჭაბუკიანი" (ლაგოდეხი) — „წინანდალი" (თელავი) 1:0, „იორი" (თიანეთი) — „ვაზი" (შრომა, გურჯაანი) 0:4, „ტიბაანი" (სიღნაღი) — „ქისტაური" (ახმეტა) 2:1, „განთიადი" (კასპი) — „ქისტაური" (ახმეტა) 2:1, „ვაზი" (შრომა) — „ტიბაანი" (სიღნაღი) 3:1, „წინანდალი" (თელავი) — „იორი" (თიანეთი) 8:1, „ნაფარეული" (თელავი) — „ჭაბუკიანი" (ლაგოდეხი) 2:3.

III ზონა

„კოლმეურნე" (ლანჩხუთი) — „განთიადი" (ქარელი) 1:1, „ქვედა ბახვი" (მახარაძე) — „სპარტაკი" (ვანი) 0:0, „ლესიჭინე" (ჩხოროწყუ) — ჩაის საბჭოთა მეურნეობა (წალენჯიხა) 0:1.

# გათამაშების ცხრილები

## I ჯგუფი

მდგომარეობა 13 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 29 | 19 | 6 | 4 | 61—35 | 44 |
| ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბ.) | 28 | 14 | 10 | 4 | 48—23 | 38 |
| „ეგრისი" (ცხაკაია) | 28 | 16 | 6 | 6 | 48—26 | 38 |
| „სკური" (წალენჯიხა) | 28 | 15 | 8 | 5 | 45—23 | 38 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 29 | 15 | 7 | 7 | 59—31 | 37 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 29 | 12 | 12 | 5 | 46—26 | 36 |
| „ისანი" (თბილისი) | 28 | 11 | 13 | 4 | 29—20 | 35 |
| „სინათლე" (თბილისი) | 28 | 13 | 8 | 7 | 45—28 | 34 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 29 | 12 | 7 | 10 | 36—43 | 31 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 29 | 10 | 10 | 9 | 41—37 | 30 |
| „მზიური" (გალი) | 28 | 8 | 14 | 6 | 31—27 | 30 |
| „სამცხე" (აწყური) | 27 | 8 | 13 | 6 | 24—24 | 29 |
| „ვარკეთილი" (გარდაბანი) | 29 | 8 | 11 | 10 | 30—33 | 27 |
| ასკ (თბილისი) | 27 | 9 | 5 | 13 | 27—37 | 23 |
| „გიგანტი" (ლაითური) | 27 | 6 | 10 | 10 | 27—40 | 22 |
| „იმერეთი" (თერჯოლა) | 28 | 6 | 10 | 12 | 31—32 | 22 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 27 | 5 | 10 | 12 | 20—34 | 20 |
| „ცისკარი" (სიღნაღი) | 28 | 5 | 10 | 13 | 18—33 | 20 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 28 | 4 | 12 | 12 | 29—53 | 20 |
| „მალაროელი" (ჭიათურა) | 27 | 4 | 8 | 15 | 33—57 | 16 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 27 | 3 | 7 | 17 | 27—64 | 13 |
| „მშენებელი" (ბორჯომი) | 28 | 3 | 6 | 19 | 21—50 | 12 |

## II ჯგუფი

მდგომარეობა 12 აგვისტოსთვის

I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ვარძია" (ასპინძა) | 18 | 11 | 3 | 4 | 40—16 | 25 |
| „ბარეჯი" (საგარეჯო) | 15 | 11 | 2 | 2 | 44—17 | 24 |
| „მევენახე" (ვაზისუბანი) | 18 | 11 | 2 | 5 | 44—20 | 24 |
| „სპარტაკი" (რუსთავი) | 17 | 9 | 5 | 3 | 32—24 | 23 |
| „ჯერეთი" (ლაგოდეხი) | 18 | 7 | 8 | 3 | 34—22 | 22 |
| „მევენახე" (ბოლნისი) | 18 | 9 | 4 | 5 | 35—27 | 22 |
| „შევარდენი" (თბილისი) | 16 | 8 | 5 | 3 | 30—20 | 21 |
| „მშენებელი" (წალკა) | 17 | 8 | 3 | 6 | 22—27 | 19 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 17 | 9 | 0 | 8 | 29—20 | 18 |
| „შირაქი" (წითელი წყარო) | 19 | 6 | 4 | 9 | 18—29 | 16 |
| „აბული" (ახალქალაქი) | 18 | 5 | 4 | 9 | 23—35 | 14 |
| „გარისი" (თეთრი წყარო) | 18 | 3 | 6 | 9 | 24—37 | 12 |
| „არაგვი" (დუშეთი) | 16 | 3 | 4 | 9 | 21—32 | 10 |
| „ბახტრიონი" (ახმეტა) | 17 | 1 | 4 | 12 | 12—29 | 6 |
| „არაგვი" (მცხეთა) | 18 | 1 | 2 | 15 | 18—62 | 4 |

II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ივერია" (ხაშური) | 15 | 10 | 4 | 1 | 21—8 | 24 |
| „კოლხეთი" (ხობი) | 15 | 7 | 6 | 2 | 22—9 | 20 |
| „ჭოროხი" (ბათუმი) | 15 | 8 | 2 | 5 | 19—12 | 18 |
| „ოდიში" (ზუგდიდი) | 15 | 6 | 5 | 4 | 14—10 | 17 |
| „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) | 16 | 4 | 9 | 3 | 15—13 | 17 |
| „საირმე" (მაიაკოვსკი) | 15 | 6 | 4 | 5 | 21—22 | 16 |
| „განახლება" (ადიგენი) | 15 | 6 | 4 | 5 | 13—19 | 16 |
| „დინამო" (ქუთაისი) | 16 | 6 | 3 | 7 | 17—16 | 15 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 15 | 5 | 3 | 7 | 21—21 | 13 |
| „განთიადი" (აბაშა) | 15 | 3 | 6 | 6 | 12—18 | 12 |
| „ჩიხურა" (საჩხერე) | 16 | 5 | 2 | 9 | 17—25 | 12 |
| „მექანიკოსი" (სამტრედია) | 15 | 4 | 1 | 10 | 16—27 | 9 |
| „კოლმეურნე" (ქედა) | 15 | 3 | 3 | 9 | 10—23 | 9 |

## ზონალური პირველობა

მდგომარეობა 13 აგვისტოსთვის

I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „იმედი" (აწყური) | 5 | 4 | 1 | 0 | 15—2 | 9 |
| „შახტმშენი" (მარნეული) | 6 | 4 | 1 | 1 | 10—10 | 9 |
| „კლდეკარი" (მანგლისი) | 5 | 1 | 3 | 1 | 9—8 | 5 |
| „მადნეული" (ყაზრეთი, ბოლნისი) | 5 | 2 | 1 | 2 | 6—7 | 5 |
| „ოლიმპი" (აგრანლო, წალკა) | 5 | 2 | 1 | 2 | 4—5 | 5 |
| „ფარვანა" (ბოგდანოვკა) | 5 | 1 | 1 | 3 | 8—9 | 3 |
| „რაიკავშირი" (დმანისი) | 5 | 0 | 0 | 5 | 3—14 | 0 |

II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ვაზი" (შრომა, გურჯაანი) | 6 | 6 | 0 | 0 | 18—5 | 12 |
| „განთიადი" (კასპი) | 6 | 4 | 1 | 1 | 14—7 | 9 |
| „ჭაბუკიანი" (ლაგოდეხი) | 5 | 3 | 1 | 1 | 10—8 | 7 |
| „ქისტაური" (ახმეტა) | 6 | 3 | 0 | 3 | 14—9 | 6 |
| „ტიბაანი" (სიღნაღი) | 6 | 2 | 2 | 2 | 8—12 | 6 |
| „წინანდალი" (თელავი) | 6 | 2 | 0 | 4 | 16—10 | 4 |
| „ნაფარეული" (თელავი) | 6 | 0 | 1 | 5 | 4—14 | 1 |
| „იორი" (თიანეთი) | 5 | 0 | 1 | 4 | 5—24 | 1 |

III ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ქვედა ბახვი" (მახარაძე) | 4 | 2 | 1 | 1 | 11—4 | 5 |
| „სპარტაკი" (ვანი) | 4 | 2 | 1 | 1 | 10—6 | 5 |
| „კოლმეურნე" (ლანჩხუთი) | 4 | 2 | 1 | 1 | 8—8 | 5 |
| „განთიადი" (ქარელი) | 4 | 2 | 1 | 1 | 6—8 | 5 |
| ჩაის საბჭ. მეურ. (წალენჯიხა) | 4 | 2 | 0 | 2 | 6—7 | 4 |
| „ლესიჭინე" (ჩხოროწყუ) | 4 | 0 | 0 | 4 | 2—11 | 0 |

# რესპუბლიკის თასზე

გრძელდება რესპუბლიკური თასის გათამაშება. მოგვყავს გავლილ შეხვედრათა ტექნიკური შედეგები: „ეგრისი" (ცხაკაია) — „სინათლე" (თბილისი) 2:1, „მალაროელი" (ჭიათურა) — „შალაური" (თელავი) 3:1, „დინამო" (ქუთაისი) — „განახლება" (ადიგენი) 1:2, „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „ქართლი" (გორის რაიონი) 3:0, „ჩიხურა" (საჩხერე) — „კოლხეთი" (ხობი) 2:0, „ბახმარო" (ჩოხატაური) — „ტორპედო" (გაგრა) 5:1, „ჭოროხი" (ბათუმი) — „მშენებელი" (ბორჯომი) 4:3.

ზუგდიდის „ენგურს" მოგება ჩაეთვალა ლაგოდეხის „ჯერეთთან" შეხვედრაში.

# მოულოდნელი არაფერი მომხდარა

ზაპოროჟიე, 11 აგვისტო. როგორც მოსალოდნელი იყო, მოფარიკავეთა აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში ესპადრონისტთა გუნდური ტურნირი არმიელთა გამარჯვებით დამთავრდა: ამ კლუბის ღირსებას ხომ ვ. სიდიაკი, უ. მავლიხანოვი, მ. რაკიტა, მ. ვინოკუროვი და ვ. ნაზლიმოვი იცავენ! სწორედ ეს სპორტსმენები შეადგენენ სსრ კავშირის ნაკრებს, რომელმაც ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა. ფარიკაობის დიდოსტატებმა ფინალში იოლად დაამარცხეს „ბურევესტნიკი" (9:1), „დინამო" (9:2) და „ტრუდი" (9:1).

ვერცხლის მედლები ბურევესტნიკელებს ხვდათ, ხოლო ბრინჯაოსი — დინამოელებს.

...ერთწლიანი „შესვენების" შემდეგ საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე შედგა ლვოვის „ბურევესტნიკის" რაპირისტი ვ. სტანკოვიჩი. II ადგილი დაიკავა მოსკოვის დინამოელმა ლ. რომანოვმა, III — ნოვოსიბირსკის სპარტაკელმა ა. კოტეშევმა.

I ადგილის ბედი დამატებით ბრძოლაში გადაწყდა. სტანკოვიჩმა და რომანოვმა ერთნაირი შედეგებით (5-5 მოგება და 2-2 წაგება) დაამთავრეს შეჯიბრება. თანაც, რომანოვმა სტანკოვიჩი დაამარცხა. სამაგიეროდ, დამატებით ბრძოლაში ლვოველი უფრო ზუსტი აღმოჩნდა და გაიმარჯვა კიდეც — 5:2.

ამ დღეს მისთვის უჩვეულო როლში იყო მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების არაერთგზის ჩემპიონი, სახელგანთქმული რაპირისტი გ. სვეშნიკოვი. მან საფარიკაო ბილიკი დატოვა და ახლა სსრ კავშირის ნაკრების მეორე მწვრთნელად მუშაობს. ამის გამო გუნდში ვაკანტური ადგილი გამოჩნდა. თვით სვეშნიკოვი წლეულს კორშუნოვს ამეცადინებს და, მისი აზრით, ამ სპორტსმენს სსრ კავშირის ნაკრებში მოხვედრის სერიოზული პერსპექტივა უნდა ჰქონდეს.

# თამაშობენ სოფლელები

## ცხინვალი

ფეხბურთელთა 12 გუნდი მონაწილეობდა სამხრეთ ოსეთის ჩემპიონატში. ცხინვალის რაიონის სოფ. დმენისის წარმომადგენლებმა გადამწყვეტ მატჩში ანგარიშით 2:1 დაამარცხეს ერედვის საბჭოთა მეურნეობის გუნდი და პირველობაც გაინაღდეს. დმენისელ ფეხბურთელებს დიდ დახმარებას უწევს კოლმეურნეობის თავმჯდომარე თ. ჯანაევი. მათ ყოველთვის აქვთ სპორტული ფორმა, ბურთები, გასვლით მატჩებში გუნდს უზრუნველყოფენ ტრანსპორტით. გარდა ამისა, აქ მუდამ წესრიგშია სათამაშო მინდორი.

• • •

დამთავრდა ოლქის ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ზ. გაგნიძე, ა. ბეკულოვი, თ. ტატიევი, ა. იკაევი, ტ. ტატაევი, გ. გაბარაევი (ყველა — ზნაურის რაიონი) და თ. ხასიევი (ცხინვალის რაიონი). საუკეთესო ტექნიკისთვის სპეციალური პრიზი მიეკუთვნა თ. ხასიევს.

ვ. მელქოევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უმაღლესი ტიტულის შენარჩუნებისთვის



ლესტერი, 11 აგვისტო. ინგლისის ამ ქალაქის 333-მეტრიან ტრეკზე მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში გამოვლინდნენ გამოდევნებით გუნდური რბოლის ნახევარფინალისტები. საბჭოთა კვარტეტმა, რომელმაც შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატში უძლიერესის სახელი მოიხვეჭა, ნახევარფინალში ჩეხოსლოვაკიელი მრბოლელები ჩამოიტოვა. საბჭოთა გუნდის დროა 4.39,51, ხოლო ჩეხოსლოვაკიისა — 4.47,80. იტალიელებმა აჯობეს ჰოლანდიელებს, გფრ-ის წარმომადგენლებმა — ინგლისელებს, ხოლო გდრ-ის ველოსიპედისტებმა — პოლონელებს.

მეოთხედფინალურ სერიებში საბჭოთა ოთხეულზე უკეთესი დრო ჰქონდათ გდრ-ისა (4.38,32) და გფრ-ის (4.36,39) გუნდებს. იტალიელთა დროა 4.40,05.

როგორც ცნობილია, ნახევარფინალისტთა წყვილები სწორედ ამ შედეგების მიხედვით კომპლექტდება. ამრიგად, ნახევარფინალურ სერიებში, რომლებიც ხვალ გაიმართება, ერთმანეთს შეხვდებიან გფრ — იტალია და სსრ კავშირი — გდრ.

დაიწყო სპრინტერული რბოლები ტანდემებით. პირველ წრეში ხარკოველმა ი. ცელოვალნიკოვმა და მოსკოველმა ვ. ლოგუნოვმა დაამარცხეს ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი.

მოყვარულ ველოსიპედისტთა შორის სალიდერო რბოლაში მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი მოიგო ჰოლანდიელმა კ. სტამპმა. ფინალურ რბოლაში მან საათში 65,871 კმ დაფარა. II ადგილზეა ჰ. გნასი (გფრ), III — ა. სერდა (ესპანეთი).

ლესტერის ტრეკზე ბრწყინვალედ იასპარეზეს საბჭოთა მრბოლელმა ქალებმა. სპრინტერულ რბოლაში მსოფლიო ჩემპიონის სახელი ზედიზედ მეორედ მოიხვეჭა ლენინგრადელმა გ. ცარიოვამ. ვერცხლის მედალს დაეპატრონა მოსკოველი გ. ერმოლაევა, რომელიც შარშანაც ამ ჯილდოს ლაურეატი გახლდათ. ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელთან ე. ზაიჩკოვასთან მწვავე ბრძოლაში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა ტულელმა ვ. სავინამ.

• • •

სურათზე (მარცხნიდან): გ. ერმოლაევა, გ. ცარიოვა და ვ. სავინა.

იუპი—საკდესის ტელეფოტო.

# მ. პაპავას ვერცხლიც...

ოდესა, 11 აგვისტო (ტელეფონით). ტყვიის მსროლელთა საკავშირო საუწყებო ჩემპიონატში თბილისის დინამოელმა მ. პაპავამ ამასწინანდელი ოქროს შემდეგ ვერცხლის მედალიც მოიპოვა. მცირეკალიბრიანი ნებისმიერი პისტოლეტით 50 მეტრიდან ასპარეზობაში პირველი 60 გასროლით მან 562 ქულა მოაგროვა და შეჯიბრების ლიდერი გახდა. მას ქულით ჩამორჩებოდა თანაგუნდელი ერმაკოვი.

მეორე დღეს სპორტსმენებმა დავა იმავე ვარჯიშში გააგრძელეს. უძლიერესნი ორი დღის შედეგების მიხედვით უნდა გამოვლენილიყვნენ. ამჯერად ერმაკოვმა იმარჯვა — 563 ქულა დააგროვა, ჯამში 1124 ქულა მოიპოვა და ოქროც დაისაკუთრა.

პაპავამ 560 ქულა მოაგროვა (ჯამში — 1122) და ვერცხლს დაეპატრონა. ბრინჯაო ერგო რასკაზოვს („დინამო") — 1115 (547+568).

არმიელმა რასკოვალოვმა ოქროს მეორე მედალი მოიპოვა: ამჯერად, 50 მეტრიდან მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა სროლაში (1179 ქულა 1200-დან). ამავე იარაღით სტანდარტზე (3×40) ასპარეზობა ი. კუდრიაშოვის გამარჯვებით დამთავრდა — 1150.

მცირეკალიბრიანი შაშხანით ქალები მცირე სტანდარტზე (3×20) ისროდნენ. ყველას აჯობა ტ. რიკოვამ („დინამო") — 563 ქულა 600-დან. მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სილუეტებზე (30+30) სროლაში ჩემპიონი გახდა რ. ჟელტოვსკაია (შეიარაღებული ძალები) — 586.

# ოთხთა ტურნირი

ქუთაისი, 11 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დაიწყო „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობა რეგბიში. შეჯიბრებაში უმაღლესი ლიგის გუნდები — მოსკოვისა და კიევის, აგრეთვე, თბილისისა და ქუთაისის კოლექტივები მონაწილეობენ.

პირველ ტურში თბილისელთა წინააღმდეგ მასპინძლები თამაშობდნენ, მაგრამ საკავშირო პირველობის „ა" კლასის II ჯგუფის ლიდერს — თბილისის „დინამოს" ქუთაისელებმა სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და დამარცხდნენ — 8:27. კიეველებმა აშკარად დაჯაბნეს მოსკოველები — 24:6.

მეორე ტურში კიეველი და თბილისელი თანაკლუბელების მატჩმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 8:8. მოსკოვის დინამოელებმა სძლიეს მასპინძლებს — 17:3.

ა. სარქისოვი.

# ახალგაზრდებმა თავი გამოიჩინეს

კრასნოდარი, 11 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მესამე წრის III ტურში თბილისის „ბურევესტნიკი" რიგის „სტრაუმეს" შეხვდა. 60 წუთის მანძილზე ინიციატივას თბილისელები ფლობდნენ. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა ახალგაზრდა ფხალაძემ, რომელმაც მეტოქეთა კარში 5 ბურთი გაიტანა. ამდენივე გოლის ავტორი გახლავთ ბერიაშვილი. ცერცვაძემ გაიტანა 6 ბურთი, ექსეულიძემ — 3, ფხაკაძემ — 2, სხიერელმა — 1. საბოლოოდ, თბილისელებმა შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 22:18 (9:7).

III ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: ზმეტ-ი — ცსკა 15:14 (7:6), „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) — საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) 21:24 (12:9), „უნივერსიტეტი" (კრასნოდარი) — „კუნცევო" (მოსკოვი) 20:19 (11:9).

დღეს გუნდები ისვენებენ, ხვალ გაიმართება მორიგი ტური.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საავიაციო ინსტიტუტი (მოსკ.) | 17 | 13 | 3 | 1 | 367—318 | 29 |
| „კუნცევო" (მოსკოვი) | 17 | 11 | 3 | 3 | 304—268 | 25 |
| „უნივერსიტეტი" (კრასნოდარი) | 17 | 11 | 1 | 5 | 336—316 | 23 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 17 | 6 | 4 | 7 | 309—307 | 16 |
| ზმეტ-ი (ზაპოროჟიე) | 17 | 6 | 2 | 9 | 272—277 | 14 |
| ცსკა | 17 | 4 | 4 | 9 | 295—323 | 12 |
| „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) | 17 | 4 | 1 | 12 | 266—289 | 9 |
| „სტრაუმე" (რიგა) | 17 | 3 | 2 | 12 | 281—337 | 8 |

# ფინიშთან—ოლიმპიური ჩემპიონი

თეთრზოლიან წითელ მაისურში გამოწყობილი მორბენალი პირველი მიიჭრა 5-კილომეტრიანი დისტანციის ფინიშთან... ამ მოხდენილ, შავგვრემან სპორტსმენებს თითქოს სადღაც შევხვედრივარ. ეს ხომ მუჰამედ გამუდია — ამ მანძილზე რბენაში მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი...

მაინც საიდან მოხვდა იგი 11 აგვისტოს საღამოს მოსკოვის „ლოკომოტივის" სტადიონზე, სადაც დედაქალაქის სპარტაკელები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს?

ამ კითხვაზე თვით სპორტსმენმა გაგვცა პასუხი:

— ტუნისის მძლეოსანთა ჯგუფის შემადგენლობაში საბჭოთა მეგობრებთან ჩამოვედი სტუმრად. ეს საპასუხო ვიზიტია: შარშან ნოემბერში თქვენი სპორტსმენები იყვნენ ჩვენში. დიდი ხანია ვოცნებობდი მოსკოვში მოხვედრაზე და აი, ნატვრა ამიხდა კიდეც. საუცხოო ქალაქია, საუცხოო ხალხი! ერთი რამ მწყინს: დღეს მთლად ვერა ვარ ჩვეულ სპორტულ ფორმაში და ჩემი დროც — 14,31,0 — ძალიან შორსაა პირადი რეკორდისგან.

...ტუნისის არმიის ლეიტენანტს, 32 წლის გამუდის კაცი ვერ უსაყვედურებს — ცოტას ვარჯიშობო. მაგრამ ახლახან მის ცხოვრებაში მომხდარმა ამბავმა მას ცოტა ხნით სპორტიც კი დაავიწყა: მუჰამედმა ცოლი შეირთო. ახლა კი იგი ისევ ძალიან ბევრს მეცადინეობს და კარგად გამოსვლის იმედი აქვს კიევში, სადაც აქ გამართული შეჯიბრების შემდეგ დაუყოვნებლივ გაემგზავრება. უკრაინის დედაქალაქში „დინამოს" მძლეოსნებს ექნებათ დიდი ბრძოლა და მ. გამუდი იქ რ. შარაფეტდინოვს შეხვდება. გამუდის ძალიან სურს კარგად იასპარეზოს.

სსრ კავშირისა და ტუნისის მძლეოსანთა მეგობრულმა შეჯიბრებამ უკვე გამოიღო პირველი ნაყოფი: 28 წლის მუჰამედ ბელხოჯამ 100 მეტრზე რბენაში თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა — ეს მანძილი 10,4 წამში გაირბინა. ტუნისელები იმედოვნებენ, რომ ეს რეკორდი მათს ამჟამინდელ მგზავრობაში უკანასკნელი არ იქნება.

(საკდესის კორ.).

# ადამიანმა ფეხი შედგა...

ნორილსკი, 11 აგვისტო. რვა ნორილსკელმა — „ნორილსკპროექტის" ინსტიტუტის თანამშრომლებმა, ინჟინერი ი. პავლოვის მეთაურობით, რომლებიც პუტორანის პლატოს ძნელადსავალ, მიუდგომელ მდინარეებზე ბაიდარებით ლაშქრობენ, მთავარი სიძნელეები გადალახეს: ჯგუფი გავიდა იქ, სადაც მდინარე ტუტონჩანი ქვედა ტუნგუსკას ერთვის. გადალახულია მთებში მდებარე ორი მეჩეჩი, სადაც ჯერ ადამიანის ფეხი არ დადგმულა.

ექსპედიცია აღწერს „თეთრ ლაქებს" და ამ შეუსწავლელი ადგილების ტურისტულ რუკებს ადგენს.

## ჩვენი მამა პროპაგანდაში — სპორტი

# ერთგული თანამემწე

ვლადივოსტოკი. ფიზკულტურელის საკავშირო დღის ალსანიშნავად მეზღვაურებმა წყნარი ოკეანის სანაპიროზე ტრადიციული საზაფხულო სპარტაკიადის სტარტი აიღეს. ეს ერთ-ერთი პოპულარული მასობრივი შეჯიბრებაა, რომელშიც შორეული აღმოსავლეთის ზღვაოსნობის ხომალდების ეკიპაჟთა ათასობით მეზღვაური მონაწილეობს. ისინი ასპარეზობენ ფეხბურთსა და ფრენბურთში, მძლეოსნობასა და სროლაში, აგრეთვე, წმინდა საზღვაო სახეობებში: ბაგირის გადაძალვაში და სხვ. შეჯიბრების პირველი ეტაპი ქალაქ სოვეტსკაია გავანში მოიგო გემ „პიატიგორსკის" ეკიპაჟმა. მომდევნო ადგილებზე არიან „ვლადიმერ არსენიევისა" და „ელექტროსტალის" გუნდები.

სულ შორეული აღმოსავლეთის ზღვაოსნობის სამმართველო 20 ათასზე მეტ ფიზკულტურელს ითვლის. ისინი სისტემატურად ვარჯიშობენ — არ აქცევენ ყურადღებას არც ტროპიკულ სიცხესა და არც ჩრდილოეთის განედების ყინულოვან ქარებს. სპორტი მათი ყველაზე ერთგული თანამემწეა, რომელიც განსაკუთრებით დიდ დახმარებას უწევს მეზღვაურებს წყნარი, ინდოეთისა და ატლანტის ოკეანეების შორეულ რეისებში.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### შეზღუდვა ძალაში რჩება

იტალიის რამდენიმე მოწინავე კლუბის ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა ეროვნულ ფედერაციას, გაეუქმებინა უცხოელ მოთამაშეთა ყიდვის აკრძალვა. ეს კლუბები მოლაპარაკნენ განთქმულ უცხოელ ვარსკვლავებს და ახლა მხოლოდ კანონის გაუქმებას უცდიან.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ იმსჯელა ამ საკითხზე. გაიმარჯვა აზრმა, რომ უცხოელთა მოპატიჟება არ ღირს, ვინაიდან თვით იტალიელებმაც კარგად იციან ფეხბურთის თამაში — ისინი ხომ ევროპის ჩემპიონები და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონები არიან!

ამრიგად, 1970-71 წლების ბოლომდე იტალიურ კლუბებს ეკრძალებათ უცხოელების ყიდვა.

### „ჟაირზინიო? არავითარ შემთხვევაში!"

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ფეხბურთის სამყაროში დიდად გაიზარდა ჟაირზინიოს პოპულარობა. რიო-დე-ჟანეიროს კლუბი „ბოტაფოგო" მრავალი ქვეყნიდან ღებულობს წინადადებებს ამ თავდამსხმელის ყიდვის თაობაზე.

საფრანგეთის I ლიგის კლუბი „ნიცა" აპირებს თავი ისახელოს ეროვნულ ჩემპიონატში და მეცენატებმა, რომლებიც ამ კლუბს მფარველობენ, მოინდომეს ბრაზილიიდან ჟაირზინიოს გადმოყვანა. მაგრამ მოვიდა ფრიად ლაკონიური და კატეგორიული პასუხი:

— ჟაირზინიო? არავითარ შემთხვევაში!

### „სანტოსი" ეპატიჟება დუმიტრაკეს

რუმინელების ახალგაზრდა ცენტრალურმა თავდამსხმელმა დუმიტრაკემ მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სპეციალისტებზე. ბუქარესტის „დინამოს" ამ ფეხბურთელს არ გაიჩერებენ შინ, — ასეთია მიმომხილველთა აზრი.

როგორც ცნობილია, სამხრეთ ამერიკის მოწინავე კლუბებს არა ჰყავთ ევროპული „ლანდსკნეხტები" და, ამ ტრადიციის მიუხედავად, პელეს კლუბმა „სანტოსმა" კონტრაქტი შესთავაზა დუმიტრაკეს. „სანტოსმა" ცივი უარი მიიღო. ასეთივე ბედი ეწია იუგოსლავიის მოწინავე კლუბ „ვოივოდინასაც" (ნოვი სადი), რომელსაც დუმიტრაკესთან ერთად უნდოდა მეორე ცნობილი რუმინელი ფეხბურთელის დობრინის მოწვევაც.

### ჩაიკოვსკის სამშობლოში უხმობენ

განთქმულმა იუგოსლაველმა მწვრთნელმა ზ. ჩაიკოვსკიმ არაერთი შესანიშნავი ოსტატი აღუზარდა... გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას. ფეხბურთელის კარიერის შეწყვეტიდან მოკლე ხანში მან შექმნა პირველხარისხოვანი გუნდი „ბაიერნი" (მიუნჰენი), აღზარდა გფრ-ის ნაკრების ძირითადი მოთამაშეები მაიერი, ბეკენბაუერი და მიულერი.

იუგოსლავიაში დიდი ხანია ფიქრობენ, რომ დროა ჩაიკოვსკიმ ეროვნული კადრების აღზრდისთვის იზრუნოს. ზაგრების ცნობილ კლუბ „დინამოს" მესვეურებმა ჩაიკოვსკის ოფიციალურად შესთავაზეს სათავეში ჩაუდგეს ამ გუნდს.

### ურუგვაელთა გასტროლები

როგორც ცნობილია, ურუგვაის ნაკრებს დიდი ფინანსური დაბრკოლებების გამო მსოფლიო ჩემპიონატში სათამაშოდ გამგზავრებაც კი გაუჭირდა. მექსიკაში ურუგვაელებმა კარგი ჰონორარი მიიღეს, მაგრამ მაინც ვერ გამოასწორეს მდგომარეობა.

მენეჯერმა კ. ოზესმა, რომელიც სამხრეთ ამერიკის გუნდების გასტროლებს აწყობს ევროპაში, ახლა ურუგვაელებს შესთავაზა ტურნე, რომელიც მათ სიამოვნებით მიიღეს, ოღონდ სათანადო ხელშეკრულების გაფორმებით — ყველა თამაშში გამოიყვანონ მაზურკევიჩი და როჩა — თავიანთი უმთავრესი ვარსკვლავები.

ურუგვაელთა გასტროლები აგვისტოს მეორე ნახევარში იწყება.

რედაქტორი მ. პაპაბაძე

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 6. უე 05711